მივლინების ანგარიში

მივლინების მიზანი: მონაწილეობა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის (PABSEC) ყოველწლიური რიგით 50-ე გენერალური ასამბლეის სხდომაში

დელეგაციის წევრები:

ბ-ნი ოთარ დანელია - აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (დელეგაციის ხელმძღვანელი);

ბ-ნი კახაბერ ოქრიაშვილი - დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი;

ბ-ნი ზაზა გაბუნია - განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრი;

ბ-ნი რამაზ ნიკოლაიშვილი - საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი;

ქ-ნი ნინო ბუჯიაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (დელეგაციის მდივანი).

მივლინების ადგილი: უკრაინა, ქ. კიევი

მივლინების თარიღი: 2017 წლის 27 ნოემბერი - 1 დეკემბერი

ა.წ. 27 ნოემბერს, ქ. კიევში, უკრაინის პარლამენტის შენობაში გაიმართა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის ბიუროსა და მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომები.

მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომას უძღვებოდა ასამბლეის ამჟამინდელი პრეზიდენტი ქვეყნის – უკრაინის პარალმენტის თავმჯდომარე ბ–ნი ანდრეი პარუბი და მას წევრი ქვეყნების ეროვნული დელეგაციების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. კომიტეტის სხდომის განხილვის ძირითად თემას წარმოადგენდა ის ღონისძიებები, რომლებიც ასამბლეის 25–ე წლისთავთან დაკავშირებით 2018 წელს არის დაგეგმილი. ასამბლეის საიუბილეო წელს დაგეგმილ აქტივობებს შორის დასახელდა წევრი ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეთა სამიტი, წევრი ქვეყნების პარლამენტის აპარატის უფროსების შეხვედრა და ასევე ბიზნეს ფორუმის ორგანიზება. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ თავის მხრივ მზაობა გამოთქვა საკუთარი წვლილი შეიტანონ აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებისა და ორგანიზების საქმეში.

სხდომაზე ასევე მიღებულ იქნა ასამბლეის რიგით 50–ე პლენარული სესიის დღის წესრიგი, 2018 წლის ასამბლეის ღონისძიებების კალენდარი და 2018 წლის ასამბლეის ბიუჯეტი.

აღსანიშნავია ასევე, რომ ამავე დღეს ჩატარებულ ასამბლეის ბიუროს სხდომაზე, ასამბლეის ვიცე–პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილ იქნა, ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელის ბატონ ოთარ დანელია კანდიდატურა.

28 ნოემბერს, ოფიციალურად გაიხსნა ასამბლეის რიგით 50–ე პლენარული სესია. სესია გახსნა უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ანდრეი პარუბიმ. მისასალმებელი სიტყვებით ასევე გამოვიდნენ ასამბელის გენერალური მდივანი ბატონი ასაფ გაჯიევი და ასამბლეაში უკრაინის ეროვნული დელეგაციის ხელმღძვანელი ქ–ნი ლუდმილა დენისოვა.

უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარე ბ–ნი ანდრეი პარუბიმ თავის გამოსვლაში ისაუბრა ასამბლეის, როგორც საპარლამენტო დიპლომატიის განვითარების მნიშვნელოვან პლატფორმაზე. როგორც მან აღნიშნა ბევრი რამ გაკეთდა ასამბლეის დაარსებიდან 25 წლის განმავლობაში, თუმცა რეგიონში უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის რუსეთის ფედერაცია, რომელიც თავისი ქმედებებით ეწინააღმდეგება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის ძირითად პრინციპებს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია რუსეთის წინააღმდეგ გაგრძელდეს სანქციები, მანამ სანამ არ მოხდება რუსეთის აგრესიის შეჩერება რეგიონში, რაც საფრთხეს უქმნის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.

მისასალმებელი სიტყვით გამოსვლის შემდეგ, სესია დაეთმო ძირითადი თემის განხილვას, რომელიც წარმოადგენდა შემდეგს: ''შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების კრიზისის პირობებში ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება''. აღნიშნული თემის შესახებ სიტყვით გამოვიდა დამსწრე ეროვნული დელეგაციების ხელმძღვანელები.

პლენარული სესიის მონაწილეებს, საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა ბატონმა ოთარ დანელიამ მიმართა. როგორც სიტყვით გამოსვლისას მან განაცხადა, შავი ზღვის რეგიონი ევროპასა და აზიას შორის სტრატეგიულ კორიდორს

წარმოადგენს. საქართველომ არაერთხელ დაამტკიცა, რომ ის არის სანდო პარტნიორი მთელ რიგ მნიშვნელოვან ენერგო თუ ტრანსპორტის პროექტებში.

ოთარ დანელიას განცხადებით, საქართველო, როგორც უძველესი აბრეშუმის გზის ნაწილი, აქტიურად მონაწილეობს ჩინეთის მიერ ინიცირებულ პროექტებში - „ერთი სარტყელი და ერთი გზა".

ოთარ დანელიამ სიტყვით გამოსვლისას, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზეც ისაუბრა.

როგორც მან აღნიშნა, ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის, საქართველოში 4 პუნქტიანი გეგმა ხორციელდება, რომელიც სრულიად პასუხობს სახელმწიფოს მთავარ გამოწვევებს და განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდას. გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურის, კერძოდ კი სატრანსპორტო ქსელის განვითარებაა, რაც გაზრდის საქართველოს, როგორც ტრანზიტული ჰაბის მნიშვნელობას.

დელეგაციის ხელმძღვანელის თქმით, წარმატებული რეფორმების შედეგად, საინვესტიციო მიმზიდველობის მიმართულებით საქართველო ერთ-ერთი ლიდერია რეგიონში. მსოფლიო ბანკის მონაცემებით კი, ქვეყანა მე-9 ადგილზეა ბიზნესის კეთების სიმარტივით. ასვე მან აღნიშნა ტურიზმის, როგორც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორის მნიშვნელობაც. თუმცა, რჩება ისეთი გამოწვევები, მათ შორის - უსაფრთხოება, რომელიც არა მარტო საქართველოსთვის, არამედ რეგიონის თითოეული წევრისთვის არის მნიშვნელოვანი. საქართველოს რეგიონები კვლავ ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს რეგიონში ეკონომიკურ განვითარებას.

გენერალური ასამბლეის სესიის პირველ დღეს ასევე შეიქმნა საბიუჯეტო და აუდიტორული კომისიები, რომელიც 2017 წლის ფინანსური ბიუჯეტის აუდიტორულ ანგარიშს მოამზადებენ. ასევე, ამავე დღეს განიხილეს და დაამტკიცეს ასამბელის 2018 წლის ბიუჯეტი.

აღსანიშნავია ასევე, რომ ამავე დღეს განიხილეს და მიიღეს ასამბლეის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი დეკლარაცია. აღნიშნულ დეკლარაციაში უკრაინის

დელეგაციის მიერ წარმოდგენილ იქნა ცვლილება, კერძოდ 21–ე მუხლში, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებს ეხება. რადგან უკრაინის მიერ წარმოდგენილი ცვლილება არ აღმოჩნდა ყველა დამსწრე დელეგაციისათვის მისაღები, მასში შევიდა შესწორება, რომელიც წარმოადგინა საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა ბატონმა ოთარ დანელიამ. კერძოდ დეკლარაციის 21–ე მუხლში ვკითხულობთ შემდეგს: „უცილებელია, ხელი შევუწყოთ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი იმ ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ აღიარებულია, როგორც უკანონოდ ანექსირებული“.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ასამბლეის არსებობის მანძილზე საქართველოს მხრიდან პირველად წარმოდგენილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილება დეკლარაციაში, სადაც საუბარია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე.

29 ნოემბერს, სესიის ფარგლებში განხილულ იქნა ასამბლეის ეკონომიკის, ვაჭრობის, ტექნოლოგიურ და გარემოს საკითხთა კომიტეტისა და კულტურის, განათლებისა და სოციალურ საქმეთა კომიტეტების მიერ წარმოდგენილი საკითხები. კომიტეტების მიერ განხილულ თემებს წარმოადგენდა შემდეგი: „ინოვაციური სისტემების განვითარება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეის წევრ ქვეყნებში“ და „სოციალური დაცვა და შეღავათები ახალგაზრდა ოჯახებისთვის“. აღნიშნულ საკითხებზე რეკომენდაციები წარმოადგინეს შესაბამისი კომიტეტების ხელმძღვანელებმა.

გენერალური ასამბლეის 50–ე სესია დახურა უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარემ

ბ–ნმა ანრეი პარუბიმ და პრეზიდენტობა გადააბარა ალბანეთის ეროვნულ დელეგაციას. მომდევნო გენერალური ასამბლეა ჩატარდება 2018 წლის 19–21 ივნისს, ქ. ტირანაში.

ანგარიში მოამზადა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანმა ქ–ნმა ნინო ბუჯიაშვილმა.